ფრე კუიბიშევში

თბილისის დინამოელებმა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში ჩაატარეს კუიბიშევში ადგილობრივი "კრილია სოვეტოვის" გუნდთან.

შეხვედრის პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 1:0 მასპინძელთა სასარგებლოდ (ბურთი გაიტანა ბ. კაზაკოვმა). მეორე ტაიმში თბილისელმა ბარქაიამ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა და მატჩი დამთავრდა ფრედ - 1:1.

აღსანიშნავია, რომ უხეშობისათვის მოედნიდან გაძევებულ იქნა თბილისელი კალოევი და დინამოელებს 10 კაცით მოუხდათ თამაშის დამთავრება.

"ლელო", 22 ივლისი 1962 წ.